

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი № 46**

ქ. თბილისი

24.10.2018

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

ირაკლი ბურდული - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;

ელიზაბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის თავმჯდომარე, ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე; სხდომის თავმჯდომარე.

ლევან გორდეზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

თეო ურუშაძე - ა(ა)იპ - საქართაველოს აგრარული უნივერსიტეტის აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლის დეკანი, პროფესორი;

სოფიკო ლობჟანიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტთან არსებული დეპარტამენტის განათლების სკოლის ხელმძღვანელი;

ირინა გოცირიძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიოსამედიცინო ინჟინერიის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი

ნატო გენგიური - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

პაატა ბრეკაშვილი - შპს კავკასიის უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების დეპარტამენტის დირექტორი;

გიორგი თურქია - ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი პროფესორი; სხდომის მდივანი;

ნათელა სახოვა - ა(ა)იპ - სტრატეგიულ გამოკვლევათა ინსტიტუტის გამგეობის წევრი.

ოლია ვოტ - შპს „პოლიტიკისა და მართვის კონსალტინგ ჯგუფ PMCG - ის ხარისხის მართვისა და

შიდა ინტეგრაციის მენეჯერი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

მაია გელაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;

ქეთევან ინანაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი.



უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები :

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი -

- ირმა გრძელიძე - თსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი.
- ნინო ქიმერიძე - ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აკრედიტაციის, კვლევებისა და შეფასების განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.
- დარეჯან გარდავაძე - პროფესორი, თსუ-ის ჰუმანიტარული ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
- ნინო ჩიქოვანი - პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი, კულტურის კვლევების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ხელმძღვანელი.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი:

ანა სამსონაძე.

საბჭოს სხდომა დაიწყო 15:30 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ბურდულმა და საბჭოს წევრმა ლევან გორდეზიანმა სხდომაზე განსახილებულ ორივე საკითხთან მიმართებაში განაცხადეს თვითაცილება, ვინაიდან ისინი საქმიანობდნენ იმ დაწესებულებაში, რომლის პროგრამების მონიტორინგის შედეგებიც განიხილებოდა.


შესაბამისად, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას წაუძღვა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ელიზბარ ელიზბარაშვილი. სხდომის მდივნის ფუნქცია აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე სხდომის თავჯდომარის გადაწყვეტილებით დაეკისრა საბჭოს წევრს - გიორგი თურქიას.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27² მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 27⁵ მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურის კვლევების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურის კვლევების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა წარმოდგენილი არ იქნა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი დღის წესრიგი. წარმოდგენილი დღის წესრიგი ერთხმად იქნა დამტკიცებული საბჭოს წევრების მიერ.



1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურის კვლევების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კულტურის კვლევები
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	კულტურის კვლევების ბაკალავრი
კვალიფიკაციის კოდის მითითებით	1103
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰქითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებით არსებულ დასკვნაში ასახულ გარემოებებზე.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, მალხაზ თორიამ ვიდეო ზარის მეშვეობით ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის ძირითადი მიგნებების ირგვლივ და აღნიშნა, რომ პროგრამის გადამოწმება მოხდა გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში. მათ შეაფასეს საგანმანათლებლო პროგრამა პირველი, მეორე და მე-4 სტანდარტის პირველი კომპონენტის მიხედვით. პროგრამა შეირჩა მონიტორინგის კრიტერიუმის - თვითშეფასების ანგარიშების ანალიზის მიხედვით. კერძოდ, 2016 წლის თვითშეფასების ანგარიშის შესაბამისად, გამოკვეთილი იყო ადამიანური რესურსების ნაკლებობა, ხშირ შემთხვევაში, ერთიდაიგივე პედაგოგი კითხულობდა 5-ზე მეტ სასწავლო კურსს. ასევე მიზანშეწონილი იყო შემოწმებულიყო დაწესებულებაში არსებული ამავე კვალიფიკაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაც. შესაბამისად პერსონალის კომპეტენციის და რაოდენობრივი თანაფარდობის შესაბამისობის დადგენა სტანდარტის

მოთხოვნებთან მათთვის განსაკუთრებით ყურადღებამისაქცევი იყო. ასევე, ექპერტთა ჯგუფი ადგენდა მიიღწეოდა თუ არა პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები. მონიტორინგის საფუძველთან დაკავშირებით აღსანიშნავი იყო, რომ ერთი პერსონალის მიერ რამდენიმე სასწავლო კურსის წაკითხვა არ წარმოადგენდა პრინციპულ პრობლემას. ეს კურსები სასწავლო გეგმის მიხედვით განაწილებული იყო სხვადასხვა სემესტრის განმავლობაში და ასახავდა პროგრამის განხორციელების თანმიმდევრობას. ზოგადად თუ განიხილავდნენ პროგრამის შინაარსთან დაკავშირებულ საკითხს, შეიძლებოდა აღნიშნულიყო, რომ თვითონ პროგრამის მიზნები, შინაარსი, სილაბუსები, ლოგიკურად იყო შეკრული. პროგრამამ აკრედიტაცია მიიღო 2011 წელს. ამის შემდგომ პერიოდში განხორციელდა გარკვეული ცვლილებები პროგრამის განვითარებისა და სრულყოფის მიზნით. ასევე გასათვალისწინებელი გახლდათ ის გარემოება, რომ ერთ-ერთმა დოქტორანტმა დაიცვა დისერტაცია და გახდა ასისტენტ პროფესორი. ის კურსები, რომლებიც თანამედროვე კულტურის კვლევების მირითად მიმართულებებს და ტენდენციებს მოიცავდა, პირდაპირ კავშირში იყო პროფესორების სამეცნიერო ინტერესებთან. აქედან გამომდინარე, სასწავლო და კვლევითი კომპონენტი ავსებდა ერთმანეთს. თუ პერსონალის პირად საქმეს გადახედავდნენ, სახეზე იყო მათი პროექტებში მონაწილეობა, პუბლიკაციები საერთაშორისო რეფერინგებად გამოცემებში და სხვა სამეცნიერო აქტივობები. ეს ყველაფერი ლოგიკურად კრავდა იმას, რომ ის შედეგები, რაც პროგრამას/კომპონენტს ჰქონდა, მიღწევადი იყო. თუ გათვალისწინებდნენ აკადემიური პერსონალის პროფილს, რაც მათ ჰქონდათ პროგრამის განხორციელების პირობებში, როგორც კვლევით, ასევე სწავლების კომპენენტში, პროგრამით გათვალისწინებული მიზნები და შედეგები გახლდათ რეალისტური. ექსპერტთა დასკვნის შედეგად, პროგრამა შესაბამისობაში იყო აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნებთან. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ გამოთქვა მზაობა ეპასუხა საბჭოს წევრების შეკითხვებისთვის საჭიროების შემთხვევაში.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს გამოეთქვათ თავისი მოსაზრებები.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ირმა გრძელიმემ აღნიშნა, რომ ფაქტობრივი უზუსტობები დასკვნაში არ ფიქსირდებოდა, რაც დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციაშიც აღნიშნა. ყველა ის რჩევა რაც ექსპერტთა მიერ იყო აღნიშნული, პროგრამის გუნდის მიერ იყო მიღებული და გათვალისწინებული. როგორც ექსპერტმა აღნიშნა, ეს რჩევები ატარებდა ტექნიკურ ხასიათს. პროგრამას აკრედიტაციის ვადა ეწურებიდა 2021 წელს. ცვლილებები პროგრამაში მუდმივად შედიოდა და შემდგომში ცვლილებების განხორციელებას პროგრამაში გეგმავენ პერმანენტულად. ხელახალი აკრედიტაციისათვის, პროგრამები შეიქმნებოდა განახლებული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად იმ მოთხოვნებით, რასაც ახალი საკვალიფიკაციო ჩარჩო წაუყენებდა. ასევე გათვალისწინებული იქნებოდა სტუდენტთა გამოკითხვების შედეგები.

საუბარი განაგრძო პროგრამის ხელმძღვანელმა, რომელმაც აღნიშნა, რომ მას ჰქონდა მოსაზრება საგნების განაწილებასთან დაკავშირებით. მათთან სასწავლო გეგმაში საგნები წარმოდგენილი იყო



შემოდგომის და გაზაფხულის სემესტრებში. კულტურის კვლევების პროგრამის საგნებს სხვა პროგრამის სტუდენტები ირჩევდნენ სხვადასხვა მიზნიდან გამომდინარე, ეს გახლდათ შემთხვევები, როცა სოციალური ან ჰუმანიტარული მიმართულების პროგრამის სტუდენტები საგნებს იღებდნენ დამატებითი სპეციალობის პროგრამისათვის. ასევე კულტურის კვლევების საგნებს ირჩევდნენ სტუდენტები, რომელთაც არ ჰქონდათ არჩეული დამატებითი სპეციალობის პროგრამა, თუმცა სხვადასხვა მიზნიდან და ინტერესიდან გამომდინარე ირჩევდნენ საგნებს ამ პროგრამიდან. მესამე შემთხვევა გახლდათ, როცა სტუდენტები ირჩევდნენ საგნებს თავისიუფალი არჩევითი კომპონენტის ფარგლებში. საგნების არჩევის დროს სტუდენტებს განუსაზღვრავდნენ საგნის არჩევის სემესტრს. ეს გახლდათ მიზეზები, რის გამოც საგნებს არ ჰქონდათ წინაპირობები და სემესტრების მიხედვით იყო განსაზღვრული მათი არჩევა. მეორე რჩევა ეხებოდა ლიტერატურას. კერძოდ, აღნიშნული გახლდათ, რომ სასწავლო კურსებში მითითებული იყო ლიტერატურის გარკვეული რაოდენობის ჩამონათვალი, მათ შორის მოცემული იყო უცხოენოვანი ლიტერატურა. ექსპერტების მოსაზრებით, სასურველი იქნებოდა, რომ ლიტერატურა და კონკრეტული და დავიწროვებულიყო. ბავალავრიატის საფეხურის სტუდენტებს, არ მოეთხოვებოდთ უცხო ენაზე ლიტერატურის კითხვა, ამიტომ, მათ სტუდენტებს სახელმძღვანელოდ შესთავაზეს რიდერები. როდესაც შემოდიოდა თანამედროვე უცხოენოვანი ლიტერატურა, მათთან სწრაფად ხდებოდა ლიტერატურის მოძიება, თარგმა და შეიძოდა რიდერებში ცვლილებები. რიდერები არსებობდა როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული სახით. მათ ვებგვრდზე ეს მასალა იტვირთებოდა ეტაპობრივად. გარდა ამისა, სხვა ახსნაც ჰქონდა ლიტერატურის მრავალფეროვნებას. ეს პედაგოგს აძლევდა არჩევის საშუალებას კონკრეტული საკითხების განხილვისათვის. როცა სტუდენტები სემესტრის განმავლობაში ასრულებდნენ სხვადასხვა სახის დავალებებს, ეს იქნებოდა რეფერატი თუ რაიმე სახის სხვა საპრეზენტაციო მასალის მომზადება, სტუდენტებს ჰქონდათ არჩევანი. ვინც ფლობდა შესაბამის ენას, შეეძლო შესაბამისი ლიტერატურის წაკითხვა და საკითხების მომზადება. სამაგისტრო საფეხურზე ეს პრობლემა არ გახლდათ და სტუდენტებს შეეძლოთ უცხოენოვანი ლიტერატურით სწავლა.

ირაკლი ბურდულმა გამოთქვა მოსაზრება, რომ როგორც ექსპერტმა აღნიშნა, რჩევები ატარებდა ტექნიკურ ხასიათს და ლიტერატურის რაოდენობის განსაზღვრა სილაბუსში პროგრამის შეფასებაზე არსებით გავლენას ვერ მოახდენდა. შესაბამისად, თუ დაწესებულლება თვლიდა, რომ რომელიმე რჩევა ატარებდა სარეკომენდაციო ხასიათს, სჯობდა ესაუბრათ ამ საკითხზე.

საბჭოს წევრმა ნატო გენგიურმა აღნიშნა, რომ პროგრამის შემოწმების საფუძველი იყო აკადემიური პერსონალის თანაფარდობის საკითხი. როგორც ექსპერტმა აღნიშნა, მხოლოდ ერთი აკადემიური პერსონალი დაემატათ ბოლო სააკრედიტაციო პერიოდში.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ მათმა დოქტორანტმა დაიცვა დისერტაცია და დაიკავა აკადემიური თანამდებობა. ასევე აღნიშნა, რომ მათ მუშაობას ასევე აიოლებდა ის, რომ დოქტორანტს ამავდროულად ევალებოდა პროფესორის ასისტენტობა და როგორც წესი, სასემინარო მუშაობას სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს უძღვებოდნენ დოქტორანტები. ეს ეხებოდათ დოქტორანტებს, რომელთაც ჰქონდათ აქტიური სტატუსი, ასევე მათ, ვისაც შესრულებული ჰქონდათ თავისი სადისერტაციო ნაშრომის ნაწილი და იყვნენ დამამთავრებელ ეტაპზე, ან შეჩერებული ჰქონდათ სტუდენტის სტატუსი სხვადასხვა მიზეზის გამო, თუმცა

დაგროვილი ჰქონდათ სასწავლო პროცესში მუშაობის გამოცდილება და ისინი როგორც წესი, ისინი წარმართავენ სასემინარო მუშაობას.

საბჭოს წევრი სოფიკო ლობუანიძე დაინტერესდა, თუ სტატუსშეჩერებულ სტუდენტს ასისტირების კრედიტები ჰქონდა მოგროვილი, შეიძლებოდა თუ არა ამ პირის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართვა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ასეთი პირის პროგრამაში ჩართვა შესაძლებელი იყო მოწვეული პედაგოგის სტატუსით.

საბჭოს წევრმა ნათელა სახოვიამ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განმარტების შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა მიიჩნია, რომ პრობლემას არ წარმოადგენდა ის გარემოება, რომ ერთი პედაგოგი კითხულობდა ერთდღოულად რამდენიმე სხვადასხვა საგანს.

დაწესებულების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ მრავალწლიანმა გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ კულტურის კულტურული ჯგუფი ერთ-ერთი ყველაზე განვითარებაზე ორიენტირებული ჯგუფი იყო. თვითონეული მათგანი რამდენიმე სხვადასხვა კურსს კითხულობდა, მაგრამ ყველა ეს კურსი გახლდათ სრულიად შესაბამისი კურსის წამყვანის აკადემიურ ხარისხთან, კვლევების მიმართულებასთან და სწავლების გამოცდილებასთან. ისინი ბევრ პროექტში იყვნენ ჩართულები. პროექტის ფარგლებში მუშავდებოდა ახალი კურსები და ბუნებრივი იყო ეს პროგრამაში აისახებოდა. ასევე დადებითი გახლდათ იმ პედაგოგის პროგრამაში ჩართვა, რომელმად დაიცვა სადოქტორო ნაშრომი და აკადემიური პერსონალის სტატუსით ჩაერთო პროგრამის განხორციელებაში.

სხდომის თავმჯდომარე ელიზბარ ელიზბარაშვილი დაინტერესდა, თუ ვის შეეძლო აერჩია პროგრამაში მოცემული არჩევითი კურსები, რამდენი სტუდენტისათვის შედგებოდა ჯგუფი და დაინტერესდა ყავდათ თუ არა კურსდამთავრებულები და სად საქმდებოდნენ.

პროგრამის ხელმძღვანელმა ნინო ჩიქოვანმა აღნიშნა, რომ არჩევითი კურსები იყო საფაკულტეტო საბაკალავრო შეთავაზება. რაც შეეხებოდა კურსდამთავრებულებს, დასაქმების მაჩვენებელი გახლდათ მაღალი, ისინი საქმედებოდნენ სხვადასხვა მიმართულებით, სადაც სწორედ ის ცოდნა სჭირდებოდათ, რასაც პროგრამა აძლევდა. საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულების ნაწილი სწავლას აგრძელებდა სწავლების შემდგომ საფეხურზე. ნაწილი საქმდებოდა სახელმწიფო სტრუქტურებში სხვადასხვა პოზიციებზე, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებში, სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში. დასაქმებული პირი შეიძლება ყოფილიყო სხვადასხვა პოზიციაზე, რომელიც კულტურის კვლევების სფეროში სხვადასხვა მოღვაწერობას ეწეოდა. კურსდამთავრებულები ასევე მუშაობდნენ სკოლებში, მათ შეეძლოთ კულტურისა და რელიგიის საგნის სწავლება. გასულ სასწავლო წელს საბაკალავრო კურსი დაამთავრა 63-მა სტუდენტმა. ექსპერტმა ანა სამსონაძემ აღნიშნა, რომ მათ ცენტრისგან გამოითხოვეს სტუდენტთა მონაცემები რაოდენობრივი თანაფარდობის დადგენის მიზნით. საბაკალავრო საფეხურზე იყო 57 აქტიური სტუდენტი, ხოლო სამაგისტრო საფეხურზე - 12 სტუდენტი. მიღებული მონაცემების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა მიიჩნია, რომ სტუდენტთა და პერსონალის თანაფარდობა იყო გონივრული. საბჭოს წევრი გიორგი თურქია დაინტერესდა მიღება როგორ ხდებოდა პროგრამაზე.



დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ საბაკალავრო საფეხურზე მიღება ხდებოდა საფაკულტეტო პროგრამებზე, ხოლო შემდეგ ირჩევდა სტუდენტი პროგრამას, რომელზე სწავლის გაგრძელებაც სურდა.

საბჭოს წევრი გიორგი თურქია დაინტერესდა შესაძლებელი იყო თუ არა, რომ პროგრამა არავის არ აერჩია და მიღება აღარ მომხდარიყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ეს თეორიულად შესაძლებელი გახლდათ, დაწესებულებას ჰქონდა ზოგიერთ პროგრამასთან დაკავშირებით პრაქტიკა, რომ წელიწადგამოშვებით აცხადებდა მიღებას.

საბჭოს წევრმა გიორგი თურქიამ აღნიშნა, რომ ეს სფერო სპეციფიური გახლდათ და ამიტომ აინტერესებდა, თუ როგორ იგებდნენ ცვლილებების საჭიროებას. მაგალითისათვის, მსოფლიო კულტურის ტენდენციებს, რა უნდა შეეტანათ პროგრამაში, რაზე უნდა გაემახვილებინათ ყურადღება და სხვა.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ირმა გრძელიძემ განაცხადა, რომ პროგრამის განვითარებისათვის რამდენიმე ტიპის ინდიკატორი არსებობდა. ეს გახლდათ სტუდენტების გამოკითხვა, ასევე დარგის მიმდინარე ტენდენციები, რომელიც აკადემიური პერსონალის ხედვის არეში ხვდებოდა. როგორც კი ცვლილებების საჭიროება დადგებოდა, პროგრამის ჯგუფი ქმნიდა კურუკულუმის კომიტეტებს, რომელშიც ჩართული იყო ყველა დაინტერესებული მხარე და ეგზავნებოდა ფაკულტეტის საბჭოს ცვლილების საჭიროების შესახებ ინფორმაცია. შემდეგ ცვლილებებს იხილავდა აკადემიური საბჭო. პროგრამაში ცვლილებები არ შედიოდა მყისიერად. წელიწადში ორჯერ, სემესტრის დაწყებამდე აკადემიურ საბჭოზე წარდგებოდა პროგრამის გაუმჯობესებისათვის ცვლილებების პაკეტი. საგნების დონეზე თავად აკადემიური პერსონალი იხილავდა და აყენებდა წინადადებას ცვლილების საჭიროების შესახებ.

საბჭოს წევრი ნატო გენგიური დაინტერესდა, თუ რა სახის კურსი დაამატეს პროგრამაში ბოლო პერიოდში. შინაარსში აქცენტი ჰქონდათ ეროვნულ უმცირესობებზე და აინტერესებდა ამ კვლევის შესახებ. სილაბუსის ავტორს ეწერა, რომ პრეზენტაცია ჰქონდა ერთ-ერთი შეფასების ფორმის სახით. რა სახის პრეზენტაციას წარადგენდნენ სტუდენტები, ეს გახლდათ ინდივიდუალური პროექტი, თუ რა სახით ხდებოდა პროექტის წარდგენა/დაცვა.

დაწესებულების წარმომადგენელმა ნინო ჩიქოვანმა განმარტა, რომ კვლევის რამდენიმე მიმართულება ჰქონდათ. საკითხები საინტერესო იყო არა მარტო მათი უნივერსიტეტის მასშტაბით, არამედ საინტერესო იყო სამეცნიერო საზოგადოებისათვის. ეს მიმართულებები გახლდათ ძირითადად კულტურათშორისი კვლევები და კულტურის მრავალფეროვნება. ამ საკითხების თეორიულად შესწავლისა და პრაქტიკული უნარების გამომუშავების შედეგად, სტუდენტები შემდეგ შეძლებენ წარმატებული საქმიანობის განხორციელებას. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება საველე პრაქტიკა. პრაქტიკას სტუდენტები გადიოდნენ მესამე სემესტრში, რომლის თავისებურება იყო, რომ თუ სტუდენტს აინტერესებდა ისეთი საკითხის კვლევა, რომელიც სცდებოდა პროგრამაში შემავალ თემებს, შეეძლო შეესწავლა/აერჩია მისთვის საინტერესო საკითხი. რაც შეეხებოდა პროექტებს, გახლდათ ინდივიდუალური.



სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურის კვლევების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის გაუქმებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურის კვლევების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის გაუქმებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების დაკავშირებით.



2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურის კვლევების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კულტურის კვლევები
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებული კვალიფიკაცია	კულტურის კვლევების მაგისტრი
კვალიფიკაციის კოდის მითითებით	1103
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰქონდა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებით არსებულ დასკვნაში ასახულ გარემოებებზე.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, მალხაზ თორიამ ისაუბრა ვიდეო ზარის მეშვეობით, და აღნიშნა, რომ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ლოგიკურად აგრძელებდა საბაკალავრო საფეხურის პროგრამის შინაარსს. საბაკალავრო საფეხურის პროგრამის შინაარსი ითვალისწინებდა კულტურის კვლევებში ფუნდამენტური საკითხების გაცნობას. დამოუკიდებელი კვლევითი კომპონენტი საბაკალავრო საფეხურზე არ იყო ძლიერი, რადგან საფეხური ამას არ ითვალისწინებდა.

სამაგისტრო პროგრამა იყო სწავლების საფეხურის დონის შესაბამისი. აქვე შემოდიოდა კვლევითი კომპონენტი და უცხო ენაზე პრეზენტაციის კომპონენტი. სტუდენტებს ჰქონდათ შესაძლებლობა

პვლევით პროექტებში მიეღოთ მონაწილეობა. აյ არამატრო საველე კომპონენტზე იყო საუბარი. პვლევითი კომპონენტი გაძლიერებული იყო წინა აკრედიტაციის რეკომენდაციის შესაბამისად.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა აკმაყოფილებდა აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებს. შეფასების დროს ექსპერტებს პროგრამის მიმართ ჰქონდათ რჩევები, რომელიც გახლდათ ტექნიკური ხასიათის. რაც შეეხებოდა პროგრამის სტრუქტურას და მის შინარსს, არ იყო მისი შეცვლის აუცილებლობა. რჩევები ეხებოდა ტექნიკურ საკითხებს, ეს ეხებოდა ლიტერატურის რაოდენობას და სემესტრების მიხედვით კომპონენტების განაწილების სქემას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს გამოეთქვათ თავისი მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებაშიც ჰქონდა რჩევები, რომელიც დაწესებულების მიერ მისაღები და გასათვალისწინებელი იყო. საბჭოს წევრების მხრიდან დაინტერესების შემთხვევაში მზად იყვნენ, ესაუბრათ საკითხების ირგვლივ.

საბჭოს წევრი ნატო გენგიური დაინტერესდა, სამაგისტრო ნაშრომის რეგულაციის, შეფასების კრიტერიუმების შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენელმა დარეჯან გარდავაძემ აღნიშნა, რომ აღნიშნული საკითხი არ გახლდათ პროგრამის მიკუთვნების რეგულაციის საკითხი. სამაგისტრო ნაშრომის შემუშავებისადმი მოთხოვნების რეგულაცია მოცემული იყო საფაკულტეტო დონეზე და განთავსებული იყო დაწესებულების ვებ გვერდზე.

საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება 16:30 საათზე.
საბჭოს სხდომა განახლდა 16:45 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურის კვლევების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის გაუქმებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.


კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება



სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურის პლევების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

16:50 საათზე დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
ელიზბარ ელიზბარაშვილი

სხდომის მდივანი
გიორგი თურქია

A handwritten signature in blue ink, appearing to read "G. თურქია".